წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 7-09

გორი 25 02 2021 წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იტალიური ენისა და კულტურის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 25 თებერვლის N6-07 დადგენილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იტალიური ენისა და კულტურის ცენტრის დებულება დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს გადაწყვეტილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

სპიკერი კარლო ცერცვაძე

დანართი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის იტალიური ენისა და კულტურის ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) იტალიური ენისა და კულტურის ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;

2. ცენტრი შედის უნივერსიტეტის შემადგენლობაში;

3. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის უფლებამოსილებები

1. ცენტრის უფლებამოსილებებია:

ა) იტალიური ენისა და კულტურის შესწავლა უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენებით;

ბ) შესაბამისი კავშირების დამყარება იტალიური ენითა და კულტურით დაინტერესებულ პირებთან;

გ) საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, შესაბამისი პროცედურების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა;

დ) საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

ე) სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაცია;

ვ) სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მასალების, გზამკვლევების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ზ) პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა;

თ) განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

ი) სამეცნიერო კვლევებში სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა მათში მეცნიერული კვლევის უნარების განვითარების მიზნით;

კ) ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების გააქტიურება აღნიშნულ საკითხებზე;

ლ) ცენტრის საქმიანობაში სტუდენტთა ჩართვის ხელშეწყობა;

მ) სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა;

ნ) საგანმანათლებლო ტრენინგების ორგანიზების ხელშეწყობა;

ო) საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;

პ) საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება.

2. ცენტრის მუშაობაში ჩაბმულია უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი, მასწავლებლები და სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეული სპეციალისტები, რომლებიც თავის საქმიანობას ახორციელებენ ცენტრის უფლებამოსილებებიდან გამომდინარე.

მუხლი 3. ცენტრის ხელმძღვანელობა

1. ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორთან შეთანხმებით.

2. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) კოორდინაციას უწევს ცენტრში დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ორგანიზებას უწევს იტალიური ენითა და კულტურით დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას;

ე) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ვ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2. ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

3. ცენტრის ხელმძღვანელი წარმოადგენს ცენტრის განკარგულებაში არსებულ ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირს.

4. ცენტრის ხელმძღვანელი ყოველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ცენტრის საქმიანობის ანგარიშს.

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი

წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.